გაკვეთლის გეგმა

საგანი	ინგლისური ენა
მასწავლებელი	მარიამ კაპანაძე
თარიღი	8 დეკემბერი 2022 წელი
სწავლების საფეხური/კლასი	საბაზო/VIII კლასი
დრო	45 წუთი
მოსწავლეთა პროფილი	27 მოსწავლე; სსსმ მოსწავლე არ არის
გაკვეთილის თემა	Christmas
გაკვეთილის ტიპი	კომბინირებული გაკვეთილი
გაკვეთილის აქტუალობა	გაკვეთილი აქტუალურია, რადგან ორიენტირებულია მოსმენა საუბრის უნარ ჩვევებზე, ასევე გაკვეთილის თემა აქტუალურია წინა საახალწლო პერიოდთან დაკავშირებით.
გაკვეთილის მიზანი	გამოიყენებენ ახალ წელთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებს, გაივარჯიშებენ მოსმენისა (Listening skill) და საუბრის (Speaking skill) უნარებში.
ესგ სტანდარტი	**Iუცხ.საბ.2. –** ტექსტის გაგებამდე, გაგების პროცესში დ გაგების შემდგომ შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება ტექსტის გაგება–გააზრების პროცესებისა და ენობრივ–გრამატიკული ცოდნის გაუმჯობესების ხელშესაწყობად; **Iუცხ.საბ. 4. –** ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციებში ზეპირი კომუნიკაციის დამყარება ნასწავლი სამეტყველო მოქმედებებისა და ენობრივ–გრამატიკული ცოდნის გამოყენებით;
მოსწავლეთა წინარე ცოდნა	მოსწავლეები ფლობენ მოსმენისა და საუბრის ტექნიკებს. იციან სადისკუსიო თემის წარმართვა და ფლობენ სადისკუსიო ტექნიკას.
შეფასება	განმავითარებელი (ზეპირი კომენტარი) და განმსაზღვრელი
რესურსები	პროექტორი, კომპიუტერი, დინამიკი, საპრეზენტაციო სლაიდ შოუ, დაფა, ცარცი

გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილის ეტაპები	აქტივობა	დრო	საგაკვეთილო ინსტრუქციები
მოთელვითი აქტივობა: Warm-up	მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სურათს და მოსწავლეებს სთხოვს დაფიქრდნენ მოცემულ ციტატაზე და გამოიცნონ გაკვეთილის თემა. გაკვეთილის თემის ამოცნობის შემდეგ იმსჯელონ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.	3 წთ.	დაფიქრდი. გაანალიზე. გამოიცანი. იმსჯელე.
აქტივობა N1: Discussion	მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გონებრივი იერიშის გამოყენებით დაასახელონ ყველა ის სიტყვა რაც უკავშირდება მათთვის დღესასწაულს და კონკრეტულად შობა-ახალ წელს. და mind-map-ის გამოყენებით მოახდინონ ასოციაციური კავშირი.	3 წთ.	მოიფიქრე დააკავშირე. დაასახელე.
აქტივობა N2: Sorting out	მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სლაიდს და სთხოვს მოცემული სიტყვათა კომბინაციიდან (HAPPY CHRISTMAS) შეადგინონ რაც შეიძლება მეტი ახალი სიტყვა.	5 წთ.	მოიფიქრე. შეადგინე. დაასახელე.
აქტივობა N3: Working on new Vocabulary	მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სლაიდს და სთხოვს საახალწლო თემატიკასთან დაკავშირებული ახალი ლექსიკური ერთეულების დაკავშირებას მის სურათებთან ვარაუდის მეთოდის გამოყენებით. (vocabulary matching). შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს სწორ პასუხებს და სთხოვს მოსწავლეებს მოახდინონ სავარჯიშოს თვით-შემოწმება. (self-checking).	5 წთ.	მოიფიქრე. დააკავშირე. შეამოწმე.
აქტივობა N4: Pre listening activity	მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სიტყვებს და სთხოვს დააკავშირონ ის მის განმარტებებს (pre-listening-preparation)	2 წთ.	დააკავშირე

აქტივობა N5: While listening activity	მასწავლებელი მოსწავლეებს ურთავს მოსასმენს და სთხოვს მოსწავლეებს მოუსმინონ მოსასმენს ახალ წელთან და „ახალი წლის პირობასთან“ დაკავშირებით და უპასუხონ კითხვებს. (While-listening) (მოსასმენი ჩაირთვება ორჯერ)	7 წთ.	მოუსმინე. გააანალიზე. უპასუხე.
აქტივობა N6: Post listening activity	მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება ახალი წლის პირობასთან დაკავშირებით, თუ რა პირობა დადეს 2022 წლის ახალ წელს და რამდენად შეასრულეს ის, ასევე რა პირობის დადებას აპირებენ 2023 წლის ახალ წელს და თუ არიან მზად ამ პირობის შესასრულებლად. (Post listening-speaking skill)	5 წთ.	ისაუბრე. გაანალიზეთ.
აქტივობა N7: Discussion	მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს თუ რა იციან შობის დღესასწაულთან დაკავშირებით. მოსწავლეები საუბრობენ შობა ახალი წლის ტრადიციებზე სხვადასხვა ქვეყნებში თუ რა ტრადიციები არსებობს და რამდენად მოსწონთ/არ მოსწონთ კონკრეტული ტრადიციები.	6 წთ.	ისაუბრე გამოხატე საკუთარი აზრი.
აქტივობა N8:	მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სლაიდებს სადაც მოცემულია სახალისო საახალწლო გამოცანები.	4 წთ.	დაფიქრდი. გამოიცანი.
შეჯამება	მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს ეკითხება მოსწავლეებს თუ რა იქნება მათი „New year resolution for school“ (ახალი წლის პირობა სკოლასთან დაკავშირებით)	3 წთ.	შეაჯამე დაასახელე
შეფასება	მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს სიტყვიერად განმავითარებელი შეფასებით	2 წთ	

შეფასება	
ქულა	კომენტარი
9-10	მოსწავლე მუდმივად მზადაა მონაწილეობა მიიღოს გაკვეთილის მსვლელობაში . დამოუკიდებლად ერთვება მუშაობაში დისკუსიისა თუ პრობლემის გადაჭრის დ როს, ეხმარებს და პატივს სცემს სხვებს, კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთა რი როლი კლასის მიერ რაიმეს შესწავლისას.
7-8	მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს გაკვეთილის მსვლელობაში და უმეტესად ა მჟღავნებს წინასწარ მომზადებულობას, პატივს სცემს სხვის აზრსა და მუშაობას , დამოუკიდებლად ერთვება დისკუსიებში თუმცა ვერ ამჟღავნებს მაქსიმალურ პ როდუქტიულობას პერიოდული ჩავარდნების გამო.
5-6	მოსწავლე დამოუკიდებლად არ ერთვება გაკვეთილის მსვლელობაში, აქვს ცოდ ნის ზედაპირული დონე, ცდილობს იყოს მოჩვენებითად აქტიური, მაგრამ მისი ა ქტიურობა არ პასუხობს გაკვეთილის თემას
3-4	მოსწავლე დამოუკიდებლად არ ერთვება გაკვეთილის მსვლელობაში, იშვიათა დ იჩენს ინიციატივას, მასწავლებლის დახმარების გარეშე მისი ჩართულობა ხში რად არ მჟღავნდება, არ არის ორგანიზებული.
1-2	მოსწავლე იშვიათად ან საერთოდ არ მონაწილეობს გაკვეთილის მსვლელობაშ ი, შეიძლება ხელსაც უშლიდეს გაკვეთილის მსვლელობას, გამოხატავს გაკვეთი ლის მიმართ ინდიფერენტულ ან აგრესიულ დამოკიდებულებას, არ არის ორგან იზებული